ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #2
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ქუთაისი 14.01.2020წ.

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მურად ჯიშკარიანის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „აქტივი" მისი დირექტორის ირაკლი რუხაძეს ს/კ 412673370 მისამართი სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია გასაიჯარებელი ფართების შეფასებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურეობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
CVP---79400000

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება
2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს და 00 თეთრს.
2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშწორება
3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.1 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლოობაში.

მუხლი 4. საქონლის მიღების ადგილი და ვადა
4.1 საქონლის მიღების ადგილია ქ.ქუთაისი გ.ტაბიძე N58
4.2 მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება 2020 წლის 14 იანვრიდან 2020 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები
დამკვეთი ვალდებულია:
5.1 შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;
. შემსრულებელი ვალდებულია:
5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია:
3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

5.5 შემსრულებელი უფლებამოსილია:
მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.
6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა
7.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
7.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.
7.3 მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.
7.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
8.1 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.
8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა
9.1 მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს მაჟორი
10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 14 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 2 მარტის ჩათვლით.
მუხლი 11. სხვა პირობები
ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა
მის. გ.ტაბიძე N58
ტელ. 0431272928
ს/კ 212850155
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE08TB7544934020100001

დირექტორი **მურადი ჯიშკარიანი**

შემსრულებელი:

შპს ,,აქტივი“

მისამართი: ქ. ქუთაისი ჭყონდიდელის #46
ტელეფონი: 551-150-152
საიდენტიფიკაციო კოდი: 412673370
საბანკო რეკვიზიტები: თიბისი ბანკი
საბანკო კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE66TB7598936080100001

დირექტორი **ირაკლი რუხაძე**

ხელშეკრულება ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერით